№ 6906.
საბჭოთა საინფორმაციო ბიურო
ბიბლიოთეკა
ტბილისი

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲙᲕᲘᲠᲐ
24 აგვისტო
1941 წ.
№ 200 (6205)
ფასი 15 კაპ.

სახალხო ლაშქარი წითელი არმიის მძლავრი რეზერვია

ჰიტლერი გაბრიყვებულ გერმანელ ხალხს შეპპირდა: ორ თვეში დავამთავრე ომს აღმოსავლეთში, დავიპყრობ დიდ საბჭოთა ქვეყანას, გერმანიას უზრუნველყოფ უკრაინული პურით, კავკასიის ნავთით, მილიონობით მონებს ვიშოვნი დასავლეთში ომის განსაგძოებად, მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლადო. ორი თვე გავიდა. გერმანიის სარდლობის მკვახარა გეგმებმა კრახი განიცადეს. გერმანიის მრავალი ათეული დივიზიების ჯარისაკაცებისა და ოფიცერების გეგმებით მოფენილია ფაშისტების გზა მოსკოვისაკენ, ლენინგრადისა და კიევისაკენ.

საბჭოთა ხალხი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და ღირსებისათვის იბრძვის უმაგალითო გმირობით, რამაც მთელი მსოფლიო გააოცა, იბრძვის შეუპოვრად და გააფთრებით. ფაშისტი მტაცებელი ამაოდ სცვლის თავის გეგმებს გზადაზე, ამაოდ აწყდება ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეს.—როგორიც უნდა იყოს მისი დროებითი წარმატება, ყველგან მის წინააღმდეგ კედელივით აღიმართნიან საბჭოთა პატრიოტები, და წითელი არმია, მთელ საბჭოთა ხალხთან გაერთიანებული, აჩერებს, ამსხვრევს და ანადგურებს უზარმაზარი ფაშისტური საძხედრო მანქანის მოძრაობას.

ომის განმავლობაში დღითიდღე იზრდება წითელი არმიის ძალები და წინააღმდეგობა. ამავე დროს ომის მიმდინარეობაში ჰიტლერის გერმანიის ძალები მცირდება და ილეკვა. ომის ორი თვის განმავლობაში გერმანიის არმიამ დაზოგა-ლა, დაკრალა და ტყვეთა სახით დაპკრა 2 მილიონზე მეტი კაცი, 8 ათასამდე ტანკი, 10 ათასი ქვეშეხი, 7.200-ზე მეტი თვითფრენავი.

მაგრამ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. დიდი და მრისხანეა საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება. ფაშისტთა ურდოები გულშემზარავ მხეცობას სჩადიან ჩვენ ქვეყნის მშრომელებისადმი. ჰიტლერმა თავისი, სისხლიანი ჯალათის ხელი აღმართა ლენინის ქალაქის წინააღმდეგ. მაგრამ რაც უფრო მეტად მძვინვარებს თავისი გეგმების ჩაფუშვის გამო გაბორკილებული მტერი, მით უფრო მეტად მძაფრდება საბჭოთა ხალხის პატრიოტული გულისწყრომა. მით უფრო მეტია სიძულვილი ფაშისტ კაიცუმიებისადმი, უფრო ძლიერია წინააღმდეგობა, უფრო მტაცეცა რკინისებრი ნებისყოფა — მოესპოთ, გავაკამეცეროთ გაცოფებული მტერი ისე, როგორც ცოფიან ძაღლს სპობენ. თავისუფალ დიადი ხალხი მრისხანე ძალას ყარმოადგენს, როდესაც იგი მთელი თავისი ბუმბერაზობით ადგება თავისი სამშობლოს დასაცავად, როდესაც იგი შურს იძიებს ცოლებისა და ქალიშვილების შეგინების გამო, როდესაც იგი იცავს თავისი ახალგაზრდობის სიცოცხლეს, ბედნიერებასა და მომავალს!

ფაშისტება ამას უკვე ხვდებიან. ფაშისტთა გენერლები შეშფოთებითა და შიშით ლაპარაკობენ წითელარმიელის გმირულ მედგრობაზე. წითელი არმიის საბრძოლო ძლიერებასა და სამხედრო ოსტატობაზე. კედელ უფრო მეტი შიშით ლაპარაკობენ ისინი პარტიზანულ მოძრაობაზე, სახალხო ომზე, რაც გათვალისწინებული რიდია ფაშისტთა ურდოების წესდებებით, მათ ჯერ კიდევ არ იციან, მაგრამ სავსებით გიგიგებენ სახალხო ომის მთელ ძალას. ჩვენი წითელი არმია სწორედ იმით არის ძლიერი, რომ იგი არის მთელი შეიარაღებული საბჭოთა ხალხის მეწინავე რაზმი, ყველაზე მებრძოლი, ყველაზე კვალიფიციური რაზმი, უთვალავი სახალხო არმიის ავანგარდი, რომელშიც არ არსებობს დაყოფა ფრონტად და ზურგად, რომელიც მოიცავს მთელს ჩვენს ხალხს.

სახალხო ლაშქარი უშუალოდ მიჰყვება წითელ არმიას, იგი არის წითელი არმიის პირველი დასაყრდენი, მისი უმდიდრესი რეზერვი. სახალხო ლაშქარი ომის პირველ დღეებშივე წარმოიშვა და იგი ამხანაგ სტალინის მოწოდების თანახმად გაფართოდა. იგი წარმოიშვა ყველა ქალაქსა და სოფელში. იგი საომრად განეშზადა. მან უკვე შეითვისა სამხედრო საქმის პირველი ჩვეულება, ზოგიერთმა ნაწილმა კი უკვე მოიხეუჭა საბრძოლო სახელი.

გადავაქციოთ თვითეული ქალაქი ციხე-სიმაგრედ, თვითეული ქარხანა ბასტიონად, თვითეული სოფელი გამაგრებულ პუნქტად—ასეთია სახალხო ლაშქრის ამოცანა. საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე მეომარია. იგი შემომტევ მტერს პირისპირ უხვდება. იგი თავს ესხმის მტერს ზურგში, იგი ეხმარება წითელ არმიას, ჟუტანელ პირობებს უქმნის ფაშისტს მოძალადეებს ფრონტზეც და ზურგშიც.

სახალხო ლაშქარს მიჰყვებიან მისი ძმა-ვარი რეზერვები—საბრძოლო რეზერვის რაზმები, რომლებიც სწარმოებენ, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იქმნებიან. რაზმებში შედიან მოქალაქენი, რომლებიც თავდაცვისათვის საჭირო შრომას ეწევიან, მაგრამ რომლებიც ყოველ წუთში ზზად არიან ხელში აიღონ შაშხანა, ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევი. დღეს ჩვენ ვხვდებავთ კოლეესონდენციის „ქალაქი -რკალში“, რომელშიც აღწერილია ფაშისტების მიერ გარშემორტყმული ქალაქის გმირული დაცვა. „...სანგრებში ფალადისმუზარადიანი წითელარმიელის გვერდით ჩაწოლილია ფეტრის ქუდიანი ბოხსალტერი, გაცვეთილ ეკიანი ზეინკალი, ფორმის-ქუდიანი მილიციონერი, უსაჩიხიანი მეზღვაური...“ ისინი, ყველანი, გმირულად იცავდნენ თავის შშობლიურ ქალაქს, და ფაშისტი მეაეტომატენი შედრკნენ და გაურბოდნენ საბჭოთა ხალხის უშიშარი მეომრების ცეცხლს. ფრონტისათვის მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობს ლენინგრადში, დაზგებზე, ლაბორატორიებში, ინსტიტუტებში დაძაბულად შრომობენ საბჭოთა საშობლოს ასაათასობით პატრიოტები. მაგრამ აი მრისხანე საფრთხე დაემუქრა ლენინის ქალაქს, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის საყვარელ ქალაქს, გაისმა საბრძოლო მოწოდება ლენინგრადის შრომელებისადმი, — და მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის ქალაქი საძხედრო ბანაკად იქცა. სახალხო ლაშქრის ახალ-ახალი რაზმები ემატებიან. მოდნებსა და ქუჩებში საძხედრო საქმის სწავლობენ. ფაშისტები ვერ ეღირსებიან ლენინგრადში შემოსვლას, რომლის მისადგომებზდაც ყოფილ წითელ არმიის რკინისებრ მწკრივებს უკან აღიმართა თავდადებული საბჭოთა პატრიოტების კედელი! „ლენინგრადის მისადგომები ფაშისტების სამარე გახდებან!“ — განაცხადა კიროვის სახელობის სამეზის ორდენოსანი ქარხნის მრავალათასიანმა კოლექტივმა.

მრისხანე საფრთხე ჯერ კიდევ დასტრიალებს მთელ ჩვენს ქვეყანას. ყოველივარი უდარდელობა დანშაულს უდრის. დანშაულია უზრუველობა. თვითეული და ყველანი ყოველდღიურად უნდა ეეზადნენ სიმარილი საქმისათვის. თვითეული ქარხანა არის არა მარტო საწარმოო ერთეული, არამედ საბრძოლო ერთეული. იგი ამზადებს არა მარტო თავის პროდუქციას, რომელიც საჭიროა ფრონტისათვის,—იგი ქარხანაში მუშაობისაგან თავისუფალ დროს ამზადებს მეომართა კადრებსაც.

სწორედ ასე ხდება ჩვენს საწარმოებში. ცვლის შემდეგ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურენი სწავლობენ შაშხანასა და ტყვიამფრქვევს, ეუფლებიან ბრძოლის ხერხებს, ეცნობიან მომქმედი არმიის გამოცდილებას. საჭიროა, საბოლოოდ აღმოფხვრათ, ჯერ კიდევ რომ გვხვდება, ძველებური შეხედულება ამ საქმეზე, როგორც რაღაც სახეგრო საქმის მოყვარულობაზე. სამხედრო ფრთვნა სამხედრო დისციპლინის შეთვისებით იწყება. ამ საქმეში შეუწყნარებელია, დამლუპველია უდარდელობა. საბჭოთა პატრიოტი მეომარია, მეომრისათვის კი საკვალიფიკაციო მკაცრი წესრიგი, სავალდებულოა ბრძანებათა შესრულება.

პარტიულ ხელმძღვანელთა ამოცანაა მკაცრი ორგანიზაცია შეიტანონ მთელი მოსახლეობის სამხედრო წრთვნაში, უზრუველყონ მატერიალური ნაწილი, გამოიჩინონ ინიციატივა, გამოსახონ მცოდნე და გამოცდილი ადამიანები თადარიგის მეთაურთა შორის. ქარხნებში საკმაოდ ბევრი არიან ადამიანები, რომლებიც სიყვარულით უზიარებენ დანარჩენებს თავის სამხედრო ცოდნას.

უფრო გავაფართოოთ სახალხო ლაშქრის რიგები! უფრო გავაფართოოთ და უფრო ღრმად დაეუფლოთ სამხედრო საქმეს! დაე მაშხანა იქცეს თვითეული იმ მოქალაქის საიმედო მებრძოლ მეგობრად, რომელსაც იარაღის ხელში აღების უნარი შესწევს! დაეუფლეთ ყველა სამხედრო საეცაოლებას, გადაიღეთ მომქმედი არმიის გამოცდილება! რაც უფრო ჩქარა დაეუფლება სამხედრო საქმეს მთელი ჩვენი ქვეყანა, მით უფრო ჩქარა დაკარგეს ყამი საბოლოო ფაშისტების მოსსნაზლე ფაშისტ მტრისადმი.

ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეაწარმოებთ ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ. გერმანიის რეზერვები ილვიან, ხოლო ჩვენი ძალები, წითელი არმიის ძალები განუწყვეტლივ მატულობენ.

წითელი არმია აღსავსეა დაუცხრომელი მზადყოფნით და ნებისყოფით შეუპოვარი ბრძოლა აწარმოოს მტრის წინააღმდეგ, ვიდრე მას სრულიად არ მოსპობს. ფაშისტური გერმანიის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია. მისი ძალები მცირდება—იგი დამარცხდება. ჩვენი ძალები მატულობს და მრავლდება — ჩვენ გავიმარჯვებთ!

„პრავდის“ მოწინავე, 23/VIII.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲕᲐᲓ

ცნობამ იმის შესახებ, რომ თავხედი მტერი თავისი ბინძური თათებით ეპოტინება ლენინის ქალაქს, დიდად შეაშფოთა ჩვენი ქვეყნის შშრომელნი. ამხანაგ ვოროშილოვის, ედანოვისა და პოპკოვის მიმართულებაში მიძღვნილ მტაცნებებსა და კრებებზე მუშები, მოსამსახურენი და საბჭოთა ინტელიგენცია ფიცსა სდებენ მთელი ძალებით დაეხმარონ ლენინგრადელებს.

ვერაგი, გაბორკებული მტრისადმი გულისწყრომით და სძულველით აღსავსეა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის შშრომელთა გული.

სტალინის სახელობის ქარხნის ძველი მუშები ამბობენ: „კუზნეცოვ, მეკვიბე ამბ. მოსკალენკო, ხორო ამბ. ტრეტიაკი, ხარატი ამბ. იურეეიჩი და ბრანდაგი ამბ. ვოსკობოინიკოვი, მიმართავენ რა ლენინგრადელებს, აცხადებენ:

— ჩვენ, კიევის ძველ მუშებს, ჯარგად გვახსოვს, რომ სამოქალაქო ომის წლებში პიტერზე კბილებს ილესავდნენ ყოველი ჯერის მტრები. ძლევარი სამეფოელთა ლუტერული ცენტრის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ გერმანელ ოკუპანტთა რაზმებიც. მაგრამ მაშინ მთა მაგრად მოხვდათ კბილებში. ლენინგრადელმა მუშებმა ბანდეულეს აგრეთვე გენერალ იუდენიჩის თეთრგვარდიელთა ბანდები. ასეთივე ბედი მოელით გერმანელ ფაშისტებსაც. დარწმუნებული ვართ, რომ ლენინგრადელები ეროსულოვნად გამოვლენ თავიანთი შშობლიური, საყვარელი ქალაქის დასაცავად. მტერი დამარცხებულ უნდა იქნას და კიდევ დამარცხდება!

ლენინის ქალაქის მამაც დამცველებისადმი მიმართავენ მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშათა, მუშა ქალთა და მოსამსახურეთა ჯგუფი სწერს:

„გაბედულად ებრძოლეთ მტერს! ფაშისტი ქვეწარმავალნი ვეღ ეღირსებიან ლენინის ქალაქში შესვლას! თქვენს წმინდა და თავდადებულ ბრძოლაში თქვენი ქალაქისათვის, თქვენი ღირსებისა და თავისუფლებისათვის ჩვენ თქვენთანა ვართ, ჩვენნ ძვირფასო ამხანაგებო. ფიცსა ვდებთ დაგვმარეთ ყველაფრით, რითაც კი შეგძლებთ. თქვენთან ერთად ისეთ გამანადგურებელ ლახვარს ჩავცემთ მტერს, რომ კვალიც კი აღარ დარჩეს საზიზღარი ჰიტლერელი მახინჯებისაგან!

წერილში სოკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტისა და შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სახელზე ქალაქ ფრუნზეს, ფრუნზეს სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი სწერს:

„იმ დროს, როდესაც თქვენ გამანადგურებელ ლახვარს უმზადებთ მტერს, ჩვენ, ფრუნზელები, გასამკეცებელი ენერგიით ვაძლიერებთ საომრობლოს თავდაცვას. ჩვენი ქარხანა 220 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას. სტახანოველები იძლევიან 3-დან 8 ნორმამდე გამომუშავებას. სიტყვას გაძლეკთ, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ტემპებს.

ამხანაგო ლენინგრადელებო! მოსკოვი ქვეწარმავალნი, დასცხეთ ფაშიკ ავაზაკებს. თქვენ მარტონი არა ხართ. ჩვენ მთელს ხალხთან ერთად მზადა ვართ ყოველ წუთს საკუთარი მკერდით დავიცვათ დიდი ლენინის ქალაქი. საბჭოთა ხალხს სიამაყე — ლენინგრადი საბჭოთა ქალაქი იყო და იქნება“.

მატნნგები და კრებები ჩატარდა სეკრეტოვსკენ, ხარკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. ყველგან შშრომელნი სიყვარულის გრძნობას გამოსთქვამენ ლენინგრადის გმირ დამცველებისადმი, თავს გულისწყრომას და ზიზღს ბილწ ფაშისტ კკელეტანებისადმი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 აგვისტოს ღილის ცნობა

22 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ მტერთან მთელს ფრონტზე.

* * *

ხანგრძლივი საცეცხლო წვრტილი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი სმიშლიაევი მეთაურობს, განუწყვეტლივ უშენდა ცეცხლს მტრის მოტოშექანიზებულ ჯარსა და არტილერიას. ფაშისტებმა იგი დიდ ხანს ვერ აღმოაჩინეს. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, რის დროსაც გერმანელებმა 8 ტანკი და 30-მდე ჯარისაკაცი დაკარგეს, მტერმა გამოარკვია ჩვენი ხანგრძლივი საცეცხლო წვრტილის ადგილსამყოფელი და არტილერიის ცეცხლი დაუშინა მას. როდესაც მტრის რამდენიმე ყუმბარა გასკდა ხანგრძლივი საცეცხლო წვრტილის სულ ახლოს, საცეცხლო წვრტილის გარნიზონმა სროლა შეწყვიტა. გერმანელებმა დასაზვერავად გამოგზავნეს მსუბუქი ტანკი. რაკი ტანკის ეკიპაჟი წინააღმდეგობას არ წააწყდომია, უკან გაბრუნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხანგრძლივი საცეცხლე წვრტილის გარნიზონმა ტანკების კოლონა შეამჩნია. გერმანელთა მანქანების მოძრაობის შესახებ ამბ. სმიშლიაევმა აცნობა რა მეზობელ საცეცხლო წვრტილს, როდესაც ფაშისტთა ტანკები აღმოჩნდნენ სამ ჩვენს ხანგრძლივ საცეცხლე წვრტილს შორის მდებარე ტერიტორიაზე, წითელარმიელებმა დაუშინეს არტილერიის ცეცხლი. მემიზე ეფრეიტორი ფუდარევი დაუცდენლად უშენდა. ათი ჭურვით მან მწყობრიდან გამოიყვანა მტრის ორი და ადაზიანა ოთხი ტანკი. მემიზეს წითელარმიელმა სუხოვმა ორ ტანკს „კოშკი“ გადაუმტვრია და მესამე ტანკს მუხლუხები დაუმსხვრია. ტანკები ცდილობდნენ ტყვიამფრქვევისა და ქვემეხის ცეცხლით ეპასუხნათ, მაგრამ მათმა ჭურვებმა ზიანი ვერ მიაყენეს ჩვენს ხანგრძლივ საცეცხლო წვრტილებს. მტრის კოლონის ბანდაგორება დასრულდა საათსახვევარში. ბრძოლა ეელზე დარჩა ფაშისტთა 24 დამსხვრეული ტანკი.

* * *

№ შენაერთი ამბ. პეტენეცეკის მეთაურობით რამდენიმე დღეს ებერებდა ბერმანელთა გაფიმრებულ იერიშებს უკრაინის ქალაქ ბ-ის მისადგომებზე. ხუთი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, რის შედეგადაც მტერმა დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1.500-მდე ჯარისაკაცი, 30 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 6 თვითმფრინავი, 10 ტყვიამფრქვევი და ნაღმმტყორაცნი, შენაერთს ბრძანება მიეცა ფრონტის ხაზის გასწორების მიზნით ბრძოლით გადანაცვლებულიყო ახალ წინასწარ მომზადებულ მიჯნებზე. გადანაცვლებისას მესაზვრეებმა ხიდი აფეთქეს და მდინარის მისადგომები დანაღმეს. როკა მტრის ტანკები და ქვეითი ჯარი მდინარეს მიუახლოვდნენ, ნაღმები აფეთქდა. ჩვენი ნაბიჯიდან მოსჩანდა, რომ აფეთქებამ დააზიანა ცხრა ტანკი. კაპიტან სიდოროანის ბატალიონის ნაღმტყორცნელთა ასეულმა მარჯვე მოხვედრით მოსპო 250-მდე გერმანელი ჯარისაკაცი და ოფიცერი. მდინარის ყველა მისადგომს განუწყვეტლივ უშენდა ჩვენი არტილერია. გერმანელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 700-მდე ჯარისაკაცი და ოფიცერი. გერმანელებმა დიდი ზარალის ფასად გადალახეს მდინარე და ქალაქის წინააღმდეგ გამოუშვეს ტანკების ჯგუფი, მოტოქვეითი ჯარი და მოტოციკლისტების დიდი რაზმი. ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა ქალაქის გარეუბნებში მოსპეს გერმანელთა 17 ტანკი და მრავალი ჯარისკაცი. ლეიტენანტ გრიზუნოვის ბენინი ბატარეის მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 11 ჯავშნიანი მანქანა. როცა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ფაშისტებმა იერიში მეორე დღის დილამდე შეაწყვიტეს. ღამის განმავლობაში გერმანელთა სარდლობამ მდინარეზე გამოიყვანა ორ პოლკამდე მოტოქვეითი ჯარი. განთიადზე მტერმა კვლავ დაიწყო ქალაქზე მტეცვა. ექვსი საათის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ № შენაერთის ნაწილებმა გერმანელთა დიდი ძალების მოწოლის გამო გადმონაცვლება იწყეს. ქალაქ ბ-ის მისადგომებზე, ჭიჭრესა და მოედნებზე ფაშისტებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 3.000-ზე მეტი კაცი. ჩვენი ჯარის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 36 ტანკი, 30 ჯავშნიანი მანქანა, 2 საზენიტო დანადგარი, 30 მოტოციკლი და დიდძალი იარაღი.

* * *

ლეიტენანტ დელცოვის ბატარეას დაკავებული ჰქონდა საცეცხლო პოზიციები კ-ის რაიონში. გერმანელთა 30 ტანკმა უეცრად დაჯარა ბატარეა ორი ბატარეა და მოსპო ასამდე რუმინელი ჯარისაკაცი. ერთი კვირის ბრძოლების შემდეგ რუმინელთა მე-15 ქვეითი დივიზიონი მთლიანად იქნა განადგურებული. ამ დივიზიის მე-103 მსროლელთა პოლკში, როგორც ტყვეების ჩვენებით გამოირკვა, 2.700 ჯარისაკაციდან დარჩა 350 კაცი, მეთაურთა შემადგენლობის 485 კაციდან 20 ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი. მე-15 ქვეითი დივიზიის მე-10 მსროლელთა პოლკი თვლის სულ 180 ჯარისაკაცს და რამდენიმე ოფიცერსა და უნტერ-ოფიცერს. მე-103 მსროლელთა პოლკში მოსპობილია თითქმის მთელი შეიარაღება. 17 აგვისტოსთვის პოლკს 108 ხელის ტყვიამფრქვევიდან დაკარგა 98 ტყვიამფრქვევი, 66 დაზიანა ტყვიამფრქვევიდან 59 და თითქმის ყველა ქვემეხი.

* * *

პარტიზანულმა რაზმმა ამხ. კ-ს ხელმძღვანელობით, რომელიც ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ტყეებში მოქმედებს, უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოსპო მტრის თვითმფრინავი, ჯავშნიანი მანქანა და 2 მოტოციკლი.

ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ხელი ადგა ფაშისტთა 2 ავტომანქანა საბრძოლო მასალით და ერთი შტაბის მანქანა, ნ-ს რაიონში დაანგრია გერმანელების მიერ შეკეთებული ხიდი, დასწვა გერმანელთა ყუმბარშენი, რომელიც ფაშისტებს უსაწვავოდ საველე აეროდრომზე დაეტოვებინათ, და აიფეთქა ბენზინით სავსე 2 ავტოცისტერნა.

პარტიზანელი რაზმი ამხ. ლ-ს მეთაურობით ამზადებდა იმ ხიდის აფეთქებას, რომლითაც ფაშისტებს ფრონტზე მიეჭონდათ საბრძოლო და საწვავი მასალა.

დასაზვერავად გაგზავნილმა პარტიზანთა ჯგუფმა ხიდის მახლობლად ტბის ნაპირზე იპოვნა მძიმედ დაჭრილი პოლტოსკინი ამხ. ბელოკრისი. პარტიზანებმა პოლტესელი ფრთხილად გადაიტანეს ტყეში და ოო რ დღეღამეს უვლიდნენ. ამ დღეებში რაზმმა დანაგმა და ააფეთქა ხიდი. როდესაც დაჭრილი ოდნავ მომჯობინდა, მან უამბო, რომ დასაზვერავად წამოსული იგი მტრის ღრმა ზურგში გადავიდა. ფაშისტებმა იგი დასჭრეს. მოიკრიფა ორა უკანასკნელი ძალღონე, იგი 7 დღეღამის განმავლობაში თავისანებებიაკენ მიდიოდა. პარტიზანებმა გადაასწყვიტეს პოლტესელი წითელი არმიის უახლოეს ჰოსპიტალში მიეყვანათ. 80 კილომეტრის მანძილზე პარტიზანებმა საკაცით ატარეს დაჭრილი პოლტესელი, ორჯერ თვითნაკეთი ტივებით გადაიყვანეს ტბებზე. მეექვსე დღეს პარტიზანებმა მიაღწიეს წითელი არმიის ნაწილამდე. ექვსი დღეს ამბ. ბელოკრისი თვითმფრინავით მიყვანილ იქნა ჰოსპიტალში.

* * *

ბერლინიდან მიღებული მითითებით იტალიის სტეფანის საავენტო და უნგრეთის რადიო გამოვიდნენ პროვოკაციული ცნობებით იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა არმიები ეიზნდებიან ომში გაზების გამოყენების დასაწყებად.

საკმარისია შეავადროთ ერთმანეთს საავენტოს და უნგრეთის რადიოს თანამშრომლების ავადმყოფური ფანტაზიის უხეშად შეითინნელი ჭორები, რომ ვინაიდან ლად გამომეცადეს გერმანელების მიერ ინსპირირებული რომლის და ბუდაპეშტის რადიოოგადაცემის სრული აბსურდობა.

უნგრეთის რადიო თავის ბოდეთის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთში დიდი მზადებაა საკაზო ომისათვის, აშენებს გერმანიის ჯარების მიერ დნეპრისაკენ წინსვლის დროს ტყეად წაყვანილი საბჭოდრო პიროვნის რადიკ მითიური ნაამბობზე, ამასთან, როგორც ჩვეულებრივ, მოყვანილი არ არის არცერთი ფაქტიური განცხადება.

ყოველგვარი პროვოკაციული ჭორების მოყვარულმა იტალიის სტეფანის საავენტომ გაიმეორა უნგრეთის რადიოს სულელური მოსაბმახი და მას ახალი, ამდენადაც უჯესეო გამონაგონი დაუმატა. თავის ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა არმიები თითქოს ეზზადიან საგაზო ომისათვის, იტალიის საავენტო ამყარებს უკვე იმ საბჭდრო პირთა „ჩვენებაზე“, რომლებიც უკრაინაში ტყეად იქნენ წაყვანილი და რომლებსაც უნგრელმა ოფიცრებმა დაკითხეს.

ცხადია, უნგრეთის რადიოს და სტეფანის საავენტოს ეს ცნობა საზიზღარი, პროვოკაციული ჭორია.

* * *

მოხალისეთა კორპუსის შეგროვების სკანდალურმა ჩაფუშვამ გააცოფა გერმანელი ხელისუფალნი ბელგიაში. მაშინ გერმანელებმა გადასწყვიტეს სხვანაირად ემოქმედნათ. ქალაქებში იპრშნ, ალოსტსა და მონსში ფაშისტებმა შეადგინეს გასაწვევი ასაკის მამაკაცთა სიები. ღამით ყველანი, ვინც კი სიაში მოხვდა, გაჩხრიკეს, შემდეგ ყველანი, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, სხვადასხვა სამაბით დაიპატიჟეს. გესტაპოელები ისეთი ხერხებს გამოყენებასაც არ ერიდებოდნენ, როგორიც არის ჩხრეკის დროს მაგიდებსა და კარადებში ინტერგერმანელი ფურცლების ჩაყრა. ბელგიელებს პირდაპირ ოოგინიდან აყენებდნენ და ნახევრადჩაცმულებს ძალით სხმდნენ პოლიციის ავტომობილებში. ყველა დაპატიმრებული მამაკაცი ლილასთვის საკონცენტრაციო ბანაკში მიიტანეს. იქვე მიიყვანეს სისხლის სამართლის დამნაშავენი ბელგიის მთელი რიგი საპყრობილეებიდან. პატიმრებს, რომლებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს წასულიყვნენ აღმოსავლეთის ფრონტზე, რამდენიმე დღის განმავლობაში ცემდნენ. ასეთი საშუალებებით გერმანელებმა სულ 14 მოხალისე „შეიგრეგეს“. ყველა ისინი დაუყოვნებლივ შემოსეს და გაგზავნეს სადგურზე მოსნსმი. მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეთა ეს გაგზავნესთვის მზადება ფარულად სწარმოეზდა, მოსნსის ასეულმა მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს სადგურზე. მოხალისეთა მისამართით ბიისმოდა ლეები: „გამეცალეთო, მოღალატეებო!“. ქალები მიეჭრებოდნენ ხოლმე ვაგონების ფანჯრებთან და მოხალისეებს სახეში აფურთხებდნენ. გერმანელი ფანდარმები იძულებული იყვნენ მოეწყოთ ძლიერი დაცვა, რომ მოხალისეები ეემისაგან გადაეჩინათ.

* * *

გმირულად შრომობენ თეეზნის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც დადგენილი გეგმის ზევით თეეულ ათასობით ცენტნერ თეეზს იკრეფენ. კამჩატკის მეგალეოტრაბის სამამულო ომის თვენაზვრის განმავლობაში 250 ათასი ცენტნერით მეტი თეეზნი დაიპრიეს, ვიდრე გასული წლის ამავე დროის განმავლობაში. 21 აგვისტოსათვის მათ შეასრულეს თეეზჩერის წლიური გეგმა.

აგვისტოს პირველი ათი დღის განმავლობაში ყირიმის თეეზნის მრეწველობის ტრესტმა თვეური გეგმა 200 პროცენტით შეასრულა. დიდი წარმატებები მოიპოვეს კასპის ზღვის ტრესტებმა და კოლმეურნეობებმა. 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე მათ 91 ათასი ცენტნერით უფრო მეტი თეეზნი დაიპრიეს, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდის განმავლობაში.

თეეზნის მრეწველობის კომბინატმა „მელეშამ“ ორაგეულს ჯიშის თეეზნის ჭერის გეგმა 1.160 პროცენტით შეასრულა.

მიუხედავად 6-მალიანი ქარიშხლისა წყნარ ოკეანეზე, ვეშაპთსახოცი გემის „ავანგარდის“ მებაზრეკმ ამბ. პეგანმა 4 ვეშაპი მოკლა.

შეესნიშნავად მუშაობს ვეშაპთსახოცი გემის „ტრუდ-ფრონტის“ ეკიპაჟი. ვეშაპჭერის გეგმას იგი 400—500 პროცენტით ასრულებს.

კრასნოდარის მხარის ანაპის სტალინის სახელობის მეთვეზზოთა კოლმეურნეობის ამბ. ნიკოლაევის ბრიგადამ 200 ცენტნერზე მეტი ყეფალი დაეჭიერა. ნოვოროსიისკის ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობის ამბ. ჩერნიშევის ბრიგადამ ორი დღის განმავლობაში ივლისისა და აგვისტოს გეგმა შეასრულა.

წარმატებით მუშაობს თეეზზის ბეერი ქარხანა. ეისკის ქარხანამ უკვე შეასრულა თეეზზის გადაშეკვების წლიური გეგმა და ქვეყანას გეგმის ზევით 50 ათას ცენტნერზე მეტი პროდუქცია მისცა.

კამჩატკის საკონსერვო ქარხნებმა 15 აგვისტოსათვის გამოუშვეს 80 პროცენტით უფრო მეტი კონსერვები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდის განმავლობაში.

**(მიღებული რადიოთი საქრად

სამამულო ომის ფრონტებზე

კაზრიოზ მებრძოლის ჰ. ცინცაძის სოფელში

19 აგვისტოს სამტრედიის რაიონის სოფ. გამოჩინებულის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში სასახარულო ამბავი მოიღეს: ამავე კოლმეურნეობის წევრმა, ამჟამად წოთელ არმიაში მყოფმა პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსმა პანტელეიმონ გედევნის-ძე ცინცაძემ თავი ისახელა გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ველზე, სანიმუშოდ შეასრულა სარდლობის საბრძოლო დავალებანი, გამოჩინნა ვაჟკაცობა და ამასთანავე იგი საბეჭოთა მთავრობამ დაჯილდო

თავდაცვის ფონდი

საქართველოს მშრომელები აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ლუქასემბურგი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის მშრომელებმა 23 აგვისტოსთვის თავდაცვის სასესხო ფონდში შეიტანეს ნაღდ ფულად 126.735 მანეთი და 201.290 მანეთის ობლიგაციები. აგრეთვე შეიტანეს 6 გრამი ოქრო, 3.543 გრამი ვერცხლი, შეაგროვეს 120 ტონა შავი ლითონი, 5 ტონა ფერადი ლითონი. ლუქემბურგის რაიონის მუშა-მოსამსახურეები და კოლმეურნეები არაფერს იშურებენ ეერაგი მტრის განადგურებისათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის.

• • •

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). 22 აგვისტოსთვის ცხაკაიის რაიონის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეტანილი ჰქონდათ ნაღდ ფულად 41.644 მანეთი და 368.478 მანეთის ობლიგაციები. აგრეთვე შეიტანეს 473 გრამი ვერცხლი, შეაგროვეს 150 ტონამდე შავი ლითონის და 2.263 კილოგრამი ფერადი ლითონის ნამტვრევი.

• • •

ჟუთაისი (საკ. კორ.). ჟუთაისის მშრომელებმა 22 აგვისტოსთვის, თავდაცვის ფონდში შეიტანეს 1.061.346 მანეთი, აქედან 113.937 მანეთი ნაღდ ფულად, 135.284 მანეთი გადარიცხეთ და 812.125 მანეთის ობლიგაციები. მათვე შეიტანეს 107 გრამი ოქრო და 584 გრამი ვერცხლი.

სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებისათვის
(რედაქციაში შემოსული წერილ ების მიხედვით)

ქვემო-სვანეთის რაიონში თავდაცვის ფონდში 20 აგვისტოსთვის შეტანილი იყო 109.600 მანეთის ობლიგაციები და 19.564 მანეთი ფულად.

• • •

ბორჯომის არტელ „სოციალიზმის“ წევრმა ამხ. ოლია კონდატრიევამ თავდაცვის ფონდში რამდენიმე დღის განმავლობაში შეიტანეს 596 გრამი ვერცხლი და 14.460 მანეთის ობლიგაციები.

• • •

ალაზნის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვიურად შეაქვთ 2 დღის ხელფასი. მათვე შეიტანეს 1.000 მანეთი და 15.000 მანეთის ობლიგაციები. ორდენიანი ვერცხლის პორტსიგარი. დოსაახლისებმა თავდაცვის ფონდში რამდენიმე დღის განმავლობაში შეიტანეს 596 გრამი ვერცხლი და 14.460 მანეთის ობლიგაციები.

• • •

ხაჭმარიტის მექანიკის უბანის მუშა-მოსამსახურეებმა თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად შეაქვთ 2 დღის ხელფასი. ამხ. ს. ღვინერიამ, რ. ჩხეტიანმა და სხვ. ორი დღის ხელფასის გარდა ათას-ათასი მანეთის ობლიგაციები შეიტანეს. ამხ. გ. ჯალესაშვილმა ხელფასისა და ობლიგაციების გარდა ვერცხლის ქამარი შეიტანა. ოლია მანაგაძემ—ვერცხლის ბეჭედი, აღ. მანაგაძემ—ოქროს ძეწკი, ამხ. გ. დერგაჩოვმ, ლ. ბარამაძემ, ა. კაკუშაძემ, ვ. ქორიძემ ყოველთვიურად ოთხ-ოთხი დღის ხელფასი შეაქვთ.

• • •

არტელ „უტოლდამზადების“ (ობილისი) მუშა-მოსამსახურეებმა თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ორ-ორი დღის ხელფასი შეაქვთ. მათვე შეიტანეს 7.200 მანეთი, 1941 წლის პირველი ნახევარში მოგებული თანხიდან 3.132 მანეთი და 7.690 მანეთის ობლიგაციები.

• • •

გურჯაანის რაიონის სოფ. ფრაიანოვკის კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად შეაქვთ 1-2 შრომადღის ღირებულება. ეგენის თანაშემწემ ამხ. ნინო მშრომელიშვილმა გარდა 2 დღის ხელფასისა შეიტანა ოქროს საათი, ოქროს ყელსაბამი.

• • •

ლენინაკანის რაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ყოველთვიურად სამ-სამი დღის ხელფასი შეაქვთ თავდაცვის ფონდში.

• • •

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო-მაჩხანის კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ორი-სამი შრომადღის ღირებულება შეაქვთ. კოლმეურნეებმა ოსტატ ბერიძემ, ოსმანა ბოლოყაძემ, ალიკა ბერიძემ, ბაბალე ბერიძემ, ალიოზ ბერიძემ, ალიოზ ბერიძემ, ალიოზ

დაგნეულობა გერმანიაში ინგლის-ამერიკის დეკლარაციის შემდეგ

ლონდონი, 22 აგვისტო (საკ-დესი). რუზველტის და ჩერჩილის მიერ ხელმოწერილმა ინგლის-ამერიკის დეკლარაციამ, რომელიც მოსაწყვიტს ხალხთა მსოფლიო ანტიჰიტლერული ფრონტის განმტკიცებას, დაბნეულობა გამოიწვია გერმანიის პოლიტიკურ წრეებში. ცრუ გერმანულმა პრესამაც კი ვერ შესძლო დაემალა თავისი შეშფოთება. ჰიტლერელებმა ვერ გაბედეს გამოექვეყნებინათ დეკლარაციის სრული ტექსტი და დაკმაყოფილდნენ პოლემიკით დეკლარაციის ცალკეული ფრაზებისა და თვით ცალკეული სიტყვების წინააღმდეგ, უმთავრესად კი თაგხედური. გიგანტი რუზველტისა და ჩერჩილის მიმართ.

ფაშისტების განსაკუთრებულ გაოფთრებას იწვევს დეკლარაციის პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ ნაცისტური ტირანიის სამოლოოდ მოსპობის შემდეგ დამყარდება მშვიდობიანობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა ქვეყანას უშიშრად იცხოვროს თავის ტერიტორიაზე.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშე - პოლიტიშე კორესპონდენცი“ უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლის-ამერიკის დეკლარაციაში ლაპარაკია მშვიდრო თანამშრომლობაზე საბოლოო გამარჯვებამდე. ოფიციოზი განსაკუთრებით აღშფოთებულია იმით, რომ რუზველტისა და ჩერჩილის მიმართვაში სტალინისადმი რუსები დახასიათებული არიან, როგორც ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის აქტიური მონაწილენი, რომლებმაც დიდებული წინააღმდეგობა გაუწიეს ფაშისტთა თავდასხმას.

ვერც არამზადა გებელსმა გამოხატა გერმანელი ფაშისტებისათვის გამამხნევებელი სიტყვები. იგი გამოვიდა სტატიით, რომელიც ყოველგვარ აზრს მოკლებულია, სამაგიეროდ აღსავსეა უხამსი გინებით რუზველტისა და ჩერჩილის მიმართ. გებელსისა და მისი ბანდის სტატიებში გინების უტიფარმა ტონმა, აგრეთვე იმან, რომ ამ სტატიებში არაუშენებების არავითარი ნიშანწყალი არ მოიპოვება, გერმანელი გაზეთების ბევრი მკითხველი გააბრაზა. მეტად დამახასიათებელია, რომ თერჩელი გაზეთის „ნეი სპასხის“ რედაქტორმა ჯაპიდ იალნინმა, რომელიც თავის გაზეთში არაერთხელ გამოსულა ჰიტლერელთა დამცველად, დიდი უკმაყოფილება გამოსქვა დეკლარაციაზე გერმანიის პასუხის გამო. მას ეს პასუხი სასაცილოდ და სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია. იგი სწერს: „რუზველტს „თავხედობაზე“ ლაპარაკი ვერ გამოდგება გერმანული თვალსაზრისის დასაცავ არგუმენტად.... მაშინ, როდესაც იწკოინი და ამერიკა იცავენ ერების ნება-სურვილის პრინციპებს მართვა-გამგეობის ფორმების დაწესების საკითხში, ბერლინის „ხანგრად“ ოფიციალური წყარო აცხადებს, ევროპის მთავარს გერმანიის იარაღი განსაზღვრავსო. ცხადია, რომ გერმანული თეზისის დამცველებს არ შეუძლიათ ილაპარაკონ სამართლიანობაზე, ერთი თავისუფლებისა და უფლებებზე“.

დასასრულ ავტორი სწერს, რომ გერმანელებს „ცუდად უმუშავნიათ“ პასუხის შედგენაზე.

გერმანიის უმაღლესი საბჭოს აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედ ჯარის ნაწილებს წინაღადგომას აძლევს მოსახლეობის ხარჯზე მოიმარაგონ თავი

ჟაირო, 22 აგვისტო (საკ-დესი). ადგილობრივ ეკონომისტთა წერეთნში ამტკიცებენ, რომ გერმანიის უმაღლესმა საბჭო